პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №--

--- მარტი 2021 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის N20 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნატალია ზოიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)	- ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ბ) თამაზ სალუქვაძე (ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)	- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გ) ირაკლი პატარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)	- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
დ) ზურაბ ნაკაიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)	- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ე) დიმიტრი ჭეიშვილი (ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)	- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ვ) მირდატ ქამადაძე (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)	- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ზ) ნატალია ძიძიგური (ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“)	- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე;

თ) ნერიმან ცინცაძე (ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“)	-	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;
ი) რაულ თავართქილაძე (დამოუკიდებელი წევრი)	-	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
კ) არჩილ მამულაძე („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)	-	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლ) ლელა სურმანიძე	-	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი;
მ) ნინო კერვალიშვილი	-	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;
ნ) თეა ჯანჯღავა	-	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;
ო) თამარ გუდავა	-	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
პ) მაყვალა კვირიკაძე	-	მეწარმე ქალთა ასოციაციის თავჯდომარე;
ჟ) ნანა ჭანტურია	-	არასამთავრობო ორგანიზაციის „ერთობა თანადგომისთვის“ (დევნილთა საზოგადოება) თავმჯდომარე;
რ) რამინ მაჭარაშვილი	-	არასამთავრობო ორგანიზაციის „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ წევრი;
ს) მედეა მიქელაძე	-	ბათუმის „მეგობრობის სახლის“ თავმჯდომარე;
ტ) თამილა დოლიძე	-	ბათუმის „გენდერის მედიაცენტრის“ ხელმძღვანელი;
უ) პალინა ჯაღატაშვილი	-	„სმენის არმქონე/პრობლემების მქონე ბავშვთა და მშობელთა უფლებების დაცვის ცენტრის“ თავმჯდომარე;
ფ) ირმა აბულაძე	-	შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი;
ქ) ბექა მაჭუტაძე	-	ადამიანით ვაჭრობის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბათუმის ტრეფიკინგის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის უფროსი.“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ბ) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი, არსი:

წარმოდგენილი პროექტი ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანა ითვალისწინებს საბჭოს შემადგენლობის განახლებას. კერძოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს - შეეცვალა თავმჯდომარე, კახაბერ გუჩმანიძე ჩაანაცვლა თამარ გუდავამ. შესაბამისად, მუნიციპალურ გენდერულ თანასწორობის საბჭოში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი იქნება თამარ გუდავა, რომელიც ასევე „ბათუმის ქალთა კლუბს“ წარმოადგენდა, ხოლო შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი ირმა აბულაძე დაემატა ახალ წევრად.

გ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

გ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

განკარგულების პროექტის მიღება გამოიწვევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფის საჭიროებას

გ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტი გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

დ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

ე) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია / დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ვ) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ნატალია ზოიძე

ზ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ნატალია ზოიძე

თ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ნატალია ზოიძე